

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

- 1.1. მიკრობიოლოგია (პროფესორი)
- 1.2. პოლიმერების ქიმია (პროფესორი)

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 20 წლის და ასევე:

- ინგლისური ენის კარგი ცოდნა;
- შესაბამის სფეროში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მინიმუმ 20 წლიანი გამოცდილება;
- გრანტების განხორციელების გამოცდილება;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული პუბლიკაციები ციტირებად გამოცემებში.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2018 წლის 18 მაისიდან - 2018 წლის 22 მაისის ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 4.1. ბიოგრაფია (CV);
- 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/81061145218448>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2018 წლის 23 მაისიდან - 2018 წლის 27 მაისის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2018 წლის 28 მაისიდან - 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით**.

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 3 წლის ვადით.

**9. საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსი

ვებ-გვერდი: [www.agruni.edu.ge](http://www.agruni.edu.ge)

ელ.მისამართი: [Vacancy@agruni.edu.ge](mailto:Vacancy@agruni.edu.ge)